ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-15. 1524086001**

თარიღი:**26/03/2024**

ევროკავშირის „Interreg NEXT Black Sea Basin“ პროგრამის ფარგლებში გრანტის მიღებაზე თანხმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების, „მუნიციპალიტეტებისთვის გრანტის მიღებაზე ნებართვის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის N1990 განკარგულებისა და ამავე განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2674 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ევროკავშირის „Interreg NEXT Black Sea Basin“ პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში 119 073,02 (ას ცხრამეტი ათას სამოცდაცამეტი ევრო და 02 ცენტი) ევრო, მოპოვებული გრანტის მიღებასა და შესაბამისი შეთანხმებების გაფორმებაზე.

2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა 30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, რა დროსაც მხარეს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი